საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2012 წლის 5 სექტემბრის
დადგენილება № 740

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების
და რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი
საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ს დეკანების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების და ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, განხორციელდეს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და მათში შევიდეს დოკუმენტებით გათვალისწინებული ცვლილებები. პროგრამები დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით;
2. სტუ-ს დეკანების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათების და ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე დამტკიცდეს:
   ა) რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები;
   ბ) ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები.

დადგენილებას თან ერთვის:
ა) მოდიფიცირებული პროგრამების ჩამონათვალი (დანართი 1);
ბ) რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი მისანიჭებელი კვალიფიკაციების მითითებით (დანართი 2);
გ) დეკანების მოხსენებითი ბარათები და ფაკულტეტების საბჭოების სხდომის ოქმების ამონაწერები (დანართი 3).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე